# კვლევა კოსმოსში


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 ოქტომბერი პარასკევი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 242 (14542)


## წარმატებით დამთავრდა „სოიუზ-6" კოსმოსური ხომალდის ფრენა

დღეს, 1969 წლის 16 ოქტომბერს, 12 საათსა და 52 წუთზე მოსკოვის დროით ფრენის პროგრამის წარმატებით შესრულების შემდეგ კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-6", რომელსაც მართავს ეკიპაჟი კოსმონავტი ამხანაგების გიორგი სტეფანეს-ძე შონინისა და ვალერი ნიკოლოზის-ძე კუბასოვის შემადგენლობით, დაეშვა დასახულ რაიონში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ქალაქ ყარაღანდის ჩრდილო-დასავლეთით 180 კილომეტრზე.

კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

ორბიტიდან დაშვებისათვის ხომალდის მეთაურმა შეასრულა ხელის ორიენტაცია და გაანგარიშებულ დროში ჩართო დაშვების პროგრამა. ძრავის მუშაობის დამთავრების შემდეგ ხომალდს გამოეყო დასაშვები აპარატი, რომელშიც ეკიპაჟი იყო.

დასაშვები აპარატის ფრენა მიმდინარეობდა მართული ტრაექტორიით, რომლის დროსაც გამოყენებული იყო აეროდინამიკური ხარისხი. ატმოსფეროში დამუხრუჭების შემდეგ ამოქმედდა საპარაშუტო სისტემა, რბილი დაჯდომის ძრავებმა კი უზრუნველყვეს მიწაზე ნელი დაშვება.

დედამიწაზე კოსმონავტებს შეხვდნენ საძიებო ჯგუფის წარმომადგენლები, მეგობრები, სპორტული კომისრები, ჟურნალისტები.

„სოიუზ-6" კოსმოსური ხომალდის ფრენა წარმატებით დამთავრდა. მიღებულ შედეგებს დიდი მეცნიერულ-ტექნიკური მნიშვნელობა აქვს.

### საქდესის ცნობა

## პირველად შეადუღეს კოსმოსში

16 ოქტომბერს 11 საათისათვის მოსკოვის დროით „სოიუზ-6", „სოიუზ-7" და „სოიუზ-8" ხომალდებმა, რომლებიც განაგრძობენ ჯგუფურ ფრენას, შესაბამისად 79, 63 და 47-ჯერ შემოუარეს დედამიწას.

კოსმოსური ხომალდების ეკიპაჟთა წევრები ასრულებდნენ ფრენის პროგრამით დაგეგმილ მეცნიერულ-ტექნიკურ და სამედიცინო-ბიოლოგიურ კვლევას, აგრეთვე შემდგომ აზუსტებდნენ ორბიტაზე ხელის მანევრირების საშუალებებს.

„სოიუზ-6" კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟმა პოდპოლკოვნიკ გ. ს. შონინისა და ბორტ-ინჟინერ ვ. ნ. კუბასოვის შემადგენლობით განახორციელა კოსმოსში შედუღების სამუშაოთა ექსპერიმენტი. ამ ექსპერიმენტების მიზანი ის არის, რომ განსაზღვრონ სხვადასხვა ლითონის შედუღების თავისებურებანი კოსმოსური სივრცის პირობებში. როგორც წინათ ვიუწყებოდით, „სოიუზ-6" ხომალდი აღჭურვილია უნიკალური ტექნოლოგიური აპარატურით, რომელიც განკუთვნილია ლითონების შედუღების სხვადასხვა ხერხის კვლევისათვის ღრმა ვაკუუმისა და უწონობის პირობებში. შესადუღი აპარატურა განლაგებულია ორბიტულ ნაკვეთურში, ხოლო შედუღების პროცესის მართვის პულტი — ეკიპაჟის კაბინაში.

შედუღების დაწყების წინ ხომალდის მეთაურმა შონინმა დახურა საძრომი ლუკი ხომალდის კაბინაში და 77-ე გარშემოვლის დროს გახსნა ჰერმეტულად დახურული ორბიტული ნაკვეთური. მას შემდეგ, რაც ნაკვეთურში დამყარდა ღრმა ვაკუუმი, ბორტ-ინჟინერმა კუბასოვმა ჩართო შესადუღი აპარატურა. რიგრიგობით განხორციელდა რამდენიმე სახეობის ავტომატური შედუღება. ამის შემდეგ მოეწყო ორბიტული ნაკვეთურის ჰერმეტიზაცია და შედუღების ნიმუშები ბორტ-ინჟინერმა გადაიტანა კოსმონავტების კაბინაში.

ეს ექსპერიმენტი უნიკალურია და დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისა და ტექნიკისათვის კოსმოსში შესადუღ-სამონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიის დამუშავების დროს.

□ □

## ჯგუფური ფრენა გრძელდება

1969 წლის 15 ოქტომბერს ორბიტაზე მოეწყო რამდენიმე მანევრი, რომელთა შედეგად „სოიუზ-6" და „სოიუზ-8" ხომალდები რიგრიგობით უახლოვდებოდნენ „სოიუზ-7" ხომალდს რამდენიმე ასეულ მეტრზე. ხომალდების მიახლოების ყველა ევოლუცია სრულდებოდა ხელის მართვის გამოყენებით საბორტო ავტონომიური სანავიგაციო საშუალებების მონაცემებით. ამის შედეგად მიღებულია მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც საჭიროა პილოტირებული ხომალდების ავტონომიური მართვის ახალი სისტემების შემუშავებისა და შექმნისათვის.

კოსმონავტებმა შონინმა, კუბასოვმა, ფილიპჩენკომ, ვოლკოვმა, გორბატკომ, შატალოვმა და ელისეევმა გვიჩვენეს ოპერატიული საქმიანობის მაღალი დონე, ზუსტად შეასრულეს რა ევოლუციების მართვის და ხომალდების ურთიერთ მანევრირების ყველა ელემენტი. ამას ხელი შეუწყო კოსმოსური ფრენისათვის ეკიპაჟების გულმოდგინედ მომზადებამ დედამიწაზე.

დედამიწის დაკვირვების პუნქტების ცნობების თანახმად ჯგუფის ფრენა მკაფიოდ ჩანდა ღამის ცის ფონზე. ხომალდების ორბიტების პარამეტრები უახლოვდება ერთმანეთს და საშუალოდ შეადგენს:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 225 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 200 კილომეტრი;

მიმოქცევის პერიოდი — 88,6 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 51,7 გრადუსი.

ამავე დროს შესრულდა ყველა დაგეგმილი მეცნიერულ-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტი.

კოსმოსური ხომალდების საცხოვრებელი ნაკვეთურების ატმოსფეროს წნევა, აირშემადგენლობა, ტემპერატურა და ტენიანობა ნორმის ფარგლებშია.

შვიდივე კოსმონავტი ჯანმრთელად არის და თავს კარგად გრძნობს.

20 საათსა და 30 წუთზე კოსმოსური ხომალდები გავიდნენ საბჭოთა კავშირის დედამიწის პუნქტების რადიოხილვადობის ზონიდან.

ნავახშმევს კოსმონავტები დაისვენებენ.

ფრენის პროგრამის თანახმად, 15 ოქტომბრის 21 საათიდან და 20 წუთიდან 16 ოქტომბრის 5 საათამდე მოსკოვის დროით „სოიუზ-6", „სოიუზ-7" და „სოიუზ-8" კოსმოსური ხომალდების ეკიპაჟები ისვენებდნენ.

ტელემეტრიის მონაცემებით, კოსმონავტებს მშვიდად და ღრმად ეძინათ, კაბინებსა და ხომალდების ორბიტულ ნაკვეთურებში მიკროკლიმატის პარამეტრები — ატმოსფეროს წნევა, ტემპერატურა, ტენიანობა და აირშემადგენლობა — შეესაბამებოდა დედამიწის პირობებს.

გაღვიძების შემდეგ ხომალდების ეკიპაჟებმა შეასრულეს ფიზიკური ვარჯიშის საჭირო კომპლექსი, მადიანად ისაუზმეს, შეამოწმეს საბორტო სისტემის მდგომარეობა.

საბჭოთა კავშირის შორეული აღმოსავლეთის საზომი პუნქტების რადიოხილვადობის ზონაში ხომალდების შესვლის დროს ეკიპაჟების მეთაურებმა შეამოწმეს დრო და აღნიშნეს, რომ ყველა კოსმონავტი თავს ჩინებულად გრძნობს, რომ მზად არიან შეუდგნენ მეცნიერულ-ტექნიკურ კვლევასა და ექსპერიმენტებს ფრენის მორიგი დღის პროგრამით.

□ □ □

## „სოიუზ-7" და „სოიუზ-8" ხომალდები ფრენას განაგრძობენ

16 ოქტომბერს 17 საათისათვის მოსკოვის დროით „სოიუზ-7" და „სოიუზ-8" კოსმოსურმა ხომალდებმა შესაბამისად 67 და 51-ჯერ შემოუარეს დედამიწას.

ხომალდების ეკიპაჟები პროგრამის შესაბამისად ამოწმებდნენ საბორტო სისტემებს და ასრულებდნენ სამეცნიერო-ტექნიკურ ექსპერიმენტებსა და კვლევას.

კერძოდ, კოსმონავტები ვიზუალურად და ოპტიკურ ხელსაწყოთა დახმარებით აკვირდებოდნენ ვარსკვლავიან ცასა და დედამიწას, გადაიღეს დედამიწის ზედაპირის ღრუბლებისა და თოვლის საფარის ფოტოსურათები, აგრეთვე დედამიწის ხილული ჰორიზონტი.

დასახული დღის განრიგის თანახმად კოსმონავტებმა ისადილეს. კავშირგაბმულობის მორიგი სეანსის დროს ეკიპაჟების მეთაურებმა მოგვახსენეს, რომ კოსმონავტები თავს ჩინებულად და მხნედ გრძნობენ.

„სოიუზ-6" კოსმოსური ხომალდის ფრენის დამთავრებასთან დაკავშირებით „სოიუზ-7" და „სოიუზ-8" ხომალდების ეკიპაჟების მეთაურებმა გიორგი სტეფანეს-ძე შონინსა და ვალერი ნიკოლოზის-ძე კუბასოვს მიულოცეს მშვიდობით დაშვება დედამიწაზე.

„სოიუზ-7" და „სოიუზ-8" კოსმოსური ხომალდები ფრენას განაგრძობენ.







„სოიუზ-6", „სოიუზ-7" და „სოიუზ-8" კოსმოსური ხომალდებიდან ტელერეპორტაჟი ეკიპაჟების მუშაობის შესახებ. ტელევიზორის ეკრანიდან გადაღებულ ამ ფოტოსურათებზე ხედავთ კოსმონავტებს, რომლებიც სამეცნიერო კვლევაზე მუშაობენ.

## თანამშრომლობის მკაფიო მაგალითი

საბჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრების, მუშების ხელითა და გონებით შექმნილი სამი მფრინავი სამეცნიერო ლაბორატორია მჭიდრო ურთიერთმოქმედებით, ერთიანი გეგმით ასრულებს უნიკალურ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა დიდ კომპლექსს.

და აი საქდესის ახალი ცნობა. კოსმოსშია დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „ინტერკოსმოს-1".

თავი რომ დავანებოთ კაცობრიობისათვის ამ კვლევის უდიდეს მეცნიერულ მნიშვნელობას, სასიამოვნო იყო იმის შეტყობა, რომ ამ ექსპერიმენტის მომზადებასა და მოწყობაში, თანამგზავრზე დადგმული რთული აპარატურის დამზადებაში, დამონტაჟებასა და გამოცდაში საბჭოთა მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სპეციალისტები.

საყურადღებოა მეორე ფაქტიც. გაზომვებთან ერთად „ინტერკოსმოს-1" თანამგზავრზე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ობსერვატორიები აწყობენ რადიოასტრონომიულ, იონოსფერულ და ოპტიკურ დაკვირვებებს შეთანხმებული პროგრამით.

მხურვალედ მივესალმები ჩვენს შემაც კოსმონავტებსა და „ინტერკოსმოს-1"-ის შემქმნელებს.

**დ. კუკინი,**
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

## ცნობები კოსმოსიდან დედამიწის შესახებ

საბჭოთა კოსმოსური ხომალდების ფრენა ჩვენი პლანეტის დეტალური შესწავლის ახალ შესაძლებლობებს ქმნის.

მეცნიერება დაამუშავებს იდეებს გეოლოგიისა და გეოფიზიკის, გეოგრაფიისა და კლიმატოლოგიის აქტუალური საკითხების შესასწავლად კოსმოსური ლაბორატორიების გამოყენების შესახებ. ასეთი იდეაა, მაგალითად, ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა დედამიწის ზედაპირის ტემპერატურისა და მისი ტენიანობის განსაზღვრა დიდ ფართობებზე. კოსმოსიდან მიღებული ინფორმაციის საშუალებით შეიძლება შევისწავლოთ აგრეთვე მცენარეთა განვითარების ცალკეული ფაზები დედამიწის ზედაპირზე. შთანთქმული და არეკლილი რადიაციის, აორთქლებისა და მყინვართა დნობისათვის დახარჯული სითბოს რაოდენობა, ბევრი სხვა ცნობა შეიძლება მივიღოთ თანამგზავრებისაგან.

ამ საკითხთა სარწმუნო შესწავლა დედამიწის პირობებში წარმოებულ დაკვირვებათა მონაცემების საფუძველზე პრაქტიკულად შეუძლებელია.

**თ. დავითაია,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

## ა. ნ. კოსიგინმა მიიღო საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი

□

16 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი ვ. ჟისკარ დ'ესტენი, რომელიც მეთაურობს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მუდმივმოქმედი შერეული კომისიის მე-4 სესიაზე ჩამოსულ საფრანგეთის დელეგაციას.

საუბარში, რომელმაც მეგობრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს სსრ კავშირისა და საფრანგეთისათვის საინტერესო ზოგიერთი საერთაშორისო ეკონომიური პრობლემა და ეკონომიკის, ვაჭრობის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის გრძელვადიან საფუძველზე განვითარების საკითხები. (საქდესი).

## ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის შეთანხმებებს

მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ამ ბოლო ხანს გაიმართა მოსკოვში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან, 15 ოქტომბერს ხელი მოაწერეს შეთანხმებებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას გაუწევს უსასყიდლო ეკონომიურ და სამხედრო დახმარებას, მისცემს ახალ გრძელვადიან კრედიტებს, აგრეთვე დოკუმენტებს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის თანამშრომლობის ზოგიერთ სხვა საკითხზე.

შეთანხმებების შესაბამისად საბჭოთა კავშირი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას მნიშვნელოვანი რაოდენობით მიაწვდის სურსათს, ნავთობპროდუქტებს, სატრანსპორტო საშუალებებს, კომპლექტურ მოწყობილობას, შავ და ფერად ლითონებს, ბამბასა და ქსოვილებს, მედიკამენტებსა და სამედიცინო მოწყობილობას, ქიმიურ სასუქებს, იარაღს, საომარ მასალებსა და სხვა საქონელსა და მასალებს, რაც საჭიროა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და ეკონომიური აღდგენისა და განვითარებისათვის.

შეთანხმებებს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა.

ახალი შეთანხმებანი მოასწავებენ საბჭოთა და ვიეტნამელი ხალხების ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებასა და საბჭოთა კავშირსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის გაფართოებას. (საქდესი).

## საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა ატომური ენერგიის დარგში

მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელთა და საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისარიატის წარმომადგენელთა სხდომა. განიხილეს თანამშრომლობის მსვლელობა და 1969 წლის დამლევისა და 1970 წლის გაცვლის კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა.

14 ოქტომბერს საბჭოთა მხარემ და საფრანგეთის მხარემ ხელი მოაწერეს ოქმს, რომლითაც, კერძოდ, გათვალისწინებულია ერთობლივ კოლოკვიუმთა მოწყობა რეაქტორთა ფიზიკის, სითბოს გამომყოფი ელემენტების ფიზიკის, სწრაფი რეაქტორების ტექნოლოგიის დარგში. განიხილეს აგრეთვე ენერგეტიკული რეაქტორების, მყარი სხეულის ფიზიკის, ამაჩქარებლებისა და სხვა დარგებში თანამშრომლობის საკითხები. (საქდესი).

## პარტიული ცხოვრება

# ნაკლის მხილების გზით

**საქართველოს კპ მარნეულის რაიონული კომიტეტის პლენუმზე**

როგორ სრულდება მიმდინარე სამეურნეო წლის სახელმწიფო გეგმები და ნაკისრი ვალდებულებანი? — აი საკითხი, რომლის ირგვლივაც კომუნისტებმა პრინციპული სჯა-ბაასი გააჩაღეს პარტიის მარნეულის რაიონული კომიტეტის ამ დღეებში გამართულ პლენუმზე.

კომუნისტებმა ღრმა ანალიზი გაუკეთეს პარტიის რაიონული კომიტეტის, მისი ბიუროს, რაისაბჭოს აღმასკომის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების და სამეურნეო მუშაკების მიერ გაწეულ საქმიანობას. აღნიშნეს სერიოზული ნაკლოვანებანი, ჩავარდნები, რასაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფო დავალებებისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

მომხსენებელმა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ყულიევმა, აგრეთვე კამათის მონაწილე კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ მარნეული ითვლება მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის რაიონად. აქაური მშრომელების მთავარი ამოცანაა პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელების გზით უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდა, უკეთ გამოიყენონ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობებში არსებული რეზერვები.

სამწუხაროდ, რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვერ უზრუნველყვეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმების შესრულება. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის ძირითადი ...

... ლი ორგანიზაციების მდივნები არ იბრძვიან ისეთი შემოსავლიანი დარგების განვითარებისათვის, როგორიც არის მეცხოველეობა და მემცენარეობა. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავენ ალგეთის მებოსტნეობა-მერძევეობისა და ლომთაგორის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობების, კაპანახჩის, რუსთაველის და სხვა კოლმეურნეობების ხელმძღვანელები.

რაიონში ყველაზე ჩამორჩენილ დარგად საზოგადოებრივი მეცხოველეობა ითვლება. აღნიშნული დარგის არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ საკითხი პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმზეც კი იყო განხილული, მაგრამ იმის შედეგად, რომ რაიკომმა არ დააწესა სათანადო კონტროლი, ვერ დარაზმა აქტივი მეცხოველეობის განვითარებისათვის საბრძოლველად, ჩამორჩენა ვერ იქნა აღმოფხვრილი.

მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა რაიონში პირველი ოქტომბრისათვის შეადგენდა 11.254 სულს, ანუ წლიური გეგმის 89 პროცენტს, მათ შორის ძროხებისა — 3.814 სულს, ანუ გეგმის 88 პროცენტს. ძროხების სულადობის გეგმები შესრულებული არა აქვს 10 საბჭოთა მეურნეობას და რაიონის თითქმის არცერთ კოლმეურნეობას. 100 საფურეზე ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 52 ხბო გეგმით გათვალისწინებული 79-ის ნაცვლად. მეცხოველეობის განვითარების საქმეში ზერელე დამოკიდებულების ფაქტები იქნა მოყვანილი მუღანლოს, ალგეთის, შაუმიანის საბჭოთა მეურნეობებიდან, აგრეთვე ფრუნზეს, რუსთაველის სახელობის და „ზარიას" კოლმეურნეობებიდან.

...

მოხსენებაში და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო სათანადოდ ვერ იყენებს მინიჭებულ უფლებებს. მაგალითად, საქალაქო საბჭოს აღმასკომი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობას. იგი არ აკისრებს ქალაქში განლაგებულ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს კეთილმოაწყონ თავიანთი უბნები. 2 წელზე მეტია გამოტანილია დადგენილება რკინიგზის სადგურის უბნის კეთილმოწყობის შესახებ. ამ საქმის გაკეთებას მხოლოდ ახლახან შეუდგნენ.

კრიტიკულად შეაფასეს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა. პლენუმზე ითქვა, რომ მილიციის რაიონული განყოფილება თვეობით აჭიანურებს დანაშაულის საქმეთა გამოძიებას. შულავერის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ მაისში აღძრა ზოგიერთ პიროვნებათა მიერ სახელმწიფო მიწების უკანონოდ მითვისების საქმე. ეს საქმე მილიციის განყოფილებაში 5 თვეს იდო. შემდეგ იგი მომჩივანს დაუბრუნდა უკან მოტივით: „ხანდაზმულობის გამო ვადა გასულია".

შარშანდელთან შედარებით რაიონში გაიზარდა დანაშაულობათა ...

...

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.



# შემდგომი განვითარების პროგრამა

დღეს თელავში გაიმართა კოლმეურნეობების წარმომადგენელთა რაიონული კრება, რომელმაც განიხილა სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების პროექტი და აირჩია კოლმეურნეთა რესპუბლიკური ყრილობის დელეგატები.

კრება გახსნა სოფელ სანიორის არტელის თავმჯდომარემ, ლენინის ორდენის კავალერმა **ა. მარგალიტაშვილმა.**

აირჩიეს საქმიანი პრეზიდიუმი. ტაშის გრიალში შეკრებილებმა საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობა.

კოლმეურნეობის ახალი წესდების პროექტის განხილვის მიმდინარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. ვარდოშვილმა.**

— სანიმუშო წესდების პროექტის გამოქვეყნების პირველი დღიდანვე, — თქვა მომხსენებელმა,— რაიონში დაიწყო მისი განხილვა. კოლმეურნეებმა აღნიშნეს, თუ რა კეთილ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი მეურნეობანი საბჭოთა გლეხობის ცხოვრებაზე, გონების თვალი გადაავლეს განვლილ გზას, წარსული შეადარეს აწმყოს.

30 წლის წინათ, როცა ჩვენს რაიონს ახმეტის რაიონი შეუერთდა, — იგონებს მომხსენებელი, — აქ იყო 133 წვრილი კოლმეურნეობა, რომლებიც მხოლოდ 372 ჰექტარ ვენახს ამუშავებდა. მათი საერთო შემოსავალი 780 ათას მანეთს არ აღემატებოდა. ახლა კი თელავის რაიონის 15 კოლმეურნეობაში ათასობით ჰექტარი მსხმოიარე ვენახია. მეურნეობებმა შარშან 5.716 ათასი მანეთის მოგება მიიღეს.

წესდების პროექტის განხილვა დაემთხვა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის საქმიან მზადებას. თელაველებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის თავიანთი ვალდებულებანი. დამზადებულია თითქმის 38 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 33 ათასი ტონისა. ამდენი ყურძენი არასოდეს მოგვიკრეფია.

პურის ყანებში მარცვლეულის უხვი მოსავალი მოვიწიეთ: თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 15 ცენტნერი მარცვალი. სახელმწიფომ თელაველებისაგან მიიღო ზეგეგმითი პური, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტები და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქცია.

მომხსენებელი შე... ცვლილებებს, რომ... მეურნეთა ცხოვრე... 34 წლის მანძილზე... ლის პირველი წეს... ბის დღიდან.

ა. ვარდოშვილმა ილაპარაკა წინადადებებზე, რომლებიც კოლმეურნეობებმა წამოაყენეს წესდების პროექტის განხილვისას.

კამათში მონაწილეობდნენ სოფლების სანიორის, რუისპირის, ფშაველის, ართანის, თეთრიწყლების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები **ა. მარგალიტაშვილი, შ. კალანდრიშვილი, ტ. ჭუაძე, კ. ვარდანაშვილი, ი. არაბული,** სოფლების იყალთოს, გულგულის, ქვემო ხოდაშნის, კონდოლის კოლმეურნეები **ა. ჩიბალაშვილი, ტ. ხახაშვილი.** მათ თავიანთ გამოსვლებში დიდი სიამაყით ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ ზრუნავენ საბჭოთა გლეხობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის მშობლიური პარტია და მთავრობა, რომლებიც მტკიცედ ახორციელებენ საკოლმეურნეო წყობილების განვითარების სწორ კურსს.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სანიმუშო წესდების პროექტი და აირჩიეს კოლმეურნეთა რესპუბლიკური ყრილობის 14 დელეგატი.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ა. ნ. ინაურმა.** (საქინფორმი).



# მან თავი ისახელა

ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის კოლმეურნეობის წევრმა, სოციალისტური შრომის გმირმა ილია გაჩეჩილაძემ თავი ისახელა როგორც ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატმა. ზესტაფონელებმა ი. გაჩეჩილაძე საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობის დელეგატად აირჩიეს. იგი დაუღალავად იბრძვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

### შრომის მეცნიერული ორგანიზაცია საწარმოში

# ეფექტის, მოგების წყარო

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი საწარმოა. სწორედ ამ ქარხანამ ჩაუყარა საფუძველი ჩარხმშენებლობის განვითარებას საქართველოში. აქაური უნივერსალური სახარატო ხრახნსაჭრელი და მილდამმუშავებელი ჩარხები მსოფლიოს 26 ქვეყანაში იგზავნება.

ყოველივე ეს დიდი და პასუხსაგები ამოცანების წინაშე აყენებს ქარხნის კოლექტივს. მძიმე მრეწველობის ტექნიკური შეიარაღების, მუშის კვალიფიკაციის დღევანდელი მაღალი დონე გვავალებს მივაღწიოთ შრომის მაღალ ნაყოფიერებას, მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას. ამ მაჩვენებლების ზრდა კი, როგორც პრაქტიკამ დაამტკიცა, შეუძლებელია, ...

... რო ადგილად" ითვლებოდა „163" ტიპის სერიული ჩარხის სადგარების ტრანსპორტირების საკითხი, არ გვყოფნიდა ავტოტრანსპორტი. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ბიუროს ინიციატივით მოდერნიზებულ იქნა ელექტროკარები, რომლებიც ახლა სადგარებს წარმატებით ეზიდებიან. მარტო ამ ღონისძიებამ წელიწადში საწარმოს 1300 მანეთი დაუზოგა. № 1 მექანიკურ საამქროში „163" ტიპის ჩარხების სადგარების დამუშავება სამ სხვადასხვა კორპუსში ხდებოდა, რაც დროის დიდ დანაკარგებს იწვევდა. ჩვენმა ბიურომ გადაწყვიტა სადგარების დამუშავების პროცესი ცენტრალიზებული გაეხადა და სათანადო პროექტიც შეადგინა. გასულ წელს სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებით ჩვენმა ბიურომ საწარ...

...

ა. შარაბიძე,
თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ბიუროს უფროსი.

### „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

# „შვიდწლიანი... მშენებლობა!"

**რედაქციას უპასუხებს პარტიის ასპინძის რაიკომი**

... წერილის გამო პარტიის ასპინძის რაიკომიდან იტყობინებიან:

საქართველოს კპ ასპინძის რაიკომის ბიურომ იმსჯელა გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული წერილის „შვიდწლიანი... მშენებლობა!" შესახებ. ბიურომ სწორად ცნო წერილში მოყვანილი ... გეგმით გათვალისწინებული სამუ... რაიონის ყველა სკოლაში დროულად და ხარისხიანად ჩატარდა მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. „საქკომუნრემმშენის" ასპინძის სარემონტო სამშენებლო უბანმა (უფროსი გ. წითლანაძე) შეასრულა მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებული სამუ... ... ლისწინებულია 1970 წლისათვის.

განახლდა ტოლოშის საშუალო სკოლაზე საკლასო ოთახების მიშენება, რომელიც მიმდინარე წლის ბოლომდე დამთავრდება, მიმდინარეობს სოფელ ნაქალაქევის საშუალო სკოლის შენობაზე 7 საკლასო ოთახისა და ერთი სპორტდარბაზის მიშენება.

# წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

**რედაქციას უპასუხებს პარტიის ჩხოროწყუს რაიკომი**

**მიმდინარე** წლის სექტემბერში რედაქციამ მიიღო ჩხოროწყუს რაიონის მცხოვრებ ს. სიჭინავას განცხადება, რომელშიც მხილებული იყო დაფნის ფოთლის დამზადების საქმეში არსებული დარღვევები. ეს განცხადება გადაეგზავნა პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის ... ვას, რომელიც ამასთან დაკავშირებით რედაქციას ატყობინებს:

საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის ბიურომ 1969 წლის 5 სექტემბერს განიხილა საკითხი — „ჩხოროწყუს რაიკოოპკავშირის დამზადების კანტორის მუშაკების მოქმედების შესახებ" და დამნაშა... დამზადების საქმეში დაშვებული სერიოზული დარღვევებისათვის დამზადების კანტორის დირექტორი ვ. კვირტია გაათავისუფლა თანამდებობიდან, ხოლო რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ჟ. პაპავას დაადო მკაცრი პარტიული ...

# ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალური საკითხები

1

...

# მეცნიერული აზრის ბრწყინვალება

## ობსერვატორია კოსმოსში

ახალი ექსპერიმენტი მოწმობს, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა დედამიწის თანამგზავრის ორბიტებზე გაჩნდება მრავალადგილიანი კოსმოსური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები.

რა შესაძლებლობებს უსახავს ეს ასტრონომიულ კვლევას?

აი რა უთხრა საკდესის კორესპონდენტს შტერნბერგის სახელობის სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ვ. ვ. შევჩენკომ.

დედამიწის ატმოსფერო სამიდო ფარია, რომელიც დედამიწაზე ყოველ ცოცხალ არსებას იცავს კოსმოსური სივრცის მრავალი ფაქტორის დამღუპველი გავლენისაგან. ამავე დროს ეს არის მკვრივი ფარდაც, რომელიც ფარავს ახლო და შორეულ კოსმოსში, სამყაროს სხვა გარემოში მომხდარ მრავალ მოვლენასა და პროცესს.

ყველასათვის ცნობილია ასეთი მოვლენა: ცხელ დღეში გახურებული ასფალტის თავზე ჰაერის ნაკადი ადის. ასეთ ჰაერში საგნები ისე მოჩანს, თითქოს საოცრად იჭიმებოდნენ და იკუმშებოდნენ. სამწუხაროდ, ამგვარი სურათი ძალიან კარგად არის ცნობილი ასტრონომებისათვის. იშვიათ შემთხვევებში ისინი ხედავენ ციური ობიექტების მკაფიო, დაუმახინჯებელ გამოსახულებებს. მაშინ დაკვირვების ჟურნალებში ჩნდება ჩანაწერი, რომელიც აღნიშნავს „მშვიდ ატმოსფეროს". ჰაერის მასების გადაადგილების შედეგად წარმოქმნილი დაბრკოლებანი ობსერვატორიებს აიძულებენ დაშორდნენ დიდ ქალაქებს, სადაც გახურებისა და გაცივების პროცესები განსაკუთრე- [illegible] რივი ცვლილებანი, რაც გამოსახულების „თრთოლას" იწვევს, არამედ აგრეთვე სინათლის გაბნევა და შთანთქმა. სამყაროში უზარმაზარ მანძილგამოვლილი სინათლის ნაკადის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ძლევს ატმოსფეროს და აღარ შეიძლება მისი გამოკვლევა.

იმისათვის, რომ დავიჭიროთ და შევაგროვოთ შორი მნათობების გამოსხივების უმცირესი დოზები, ვაშენებთ უდიდეს ძვირადღირებულ ტელესკოპებს, ამასთან დროის მეტ ნაწილს ისინი უქმად არიან, რადგან დღის სინათლე და უამინდობა დაკვირვების საშუალებას არ იძლევა. რამდენი სახსრები, ენერგია და გამომგონებლობა იხარჯება მარტო იმისათვის, რომ დედამიწის ტელესკოპების გარჩევის უნარი გავზარდოთ მხოლოდ ერთი ვარსკვლავური სიდიდით, ესიგი დავინახოთ ორჯერ ნაკლები სიკაშკაშის ობიექტი.

ატმოსფეროს ფარგლებს გარეთ გატანილი ინსტრუმენტი საშუალებას მოგვცემს გარჩევითი უნარი ერთბაშად ხუთჯერ გავადიდოთ. ამასთან, ტელესკოპი განუწყვეტლივ იმოქმედებს. ასტრონომიისათვის ყველა ხელშემშლელი მოვლენა დარჩება დაბლა ჰაერის მშფოთვარე ოკეანესთან ერთად. (საკდესი).

**კოსმონავტთა ალბომიდან**



სურათზე: სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები ვლადიმერ შატალოვი (მარცხნივ) და ალექსი ელისეევი (1969 წლის სექტემბერი).

ფოტო ვ. ჩერედინცევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## უდიდესი ნაბიჯი კოსმოსის ათვისებაში

### მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში

[illegible]

... სარედაქციო სტატიაში გაზეთი „ვაშინგტონ დეილი ნიუსი", — საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს უსურვებს „სოიუზ" ხომალდების სამმაგი კოსმოსური ფრენის წარმატებით დამთავრებასა და შვიდი კოსმონავტის ბედნიერად დაბრუნებას".

[illegible] რესპუბლიკანა" წერს, რომ საბჭოთა კავშირმა „შექმნა თითქმის ერთდროულ კოსმოსურ გაშვებათა სრულყოფამდე დახვეწილი სისტემა და გადაჭრა ამასთან დაკავშირებული მთელი რიგი უაღრესად რთული ამოცანები". „ორბიტაზე მუშაობს მთელი კოსმოსური საამქრო", [illegible]

[illegible] დონეს საბჭოთა კავშირში. შვიდი საბჭოთა კოსმონავტის შესანიშნავი გაფრენა, თქვა მან, ცხადად გვიჩვენებს, თუ რა მაღალი სიზუსტით შეუძლიათ საბჭოთა მეცნიერებსა და ტექნიკოსებს განახორციელონ ამჟამად ესოდენ რთული კომპლექსი ექსპერიმენტებისა. (საკდესი).

## „შვილნი ვარსკვლავეთის ოკეანეში"

[illegible] ფუგის სავარძელში და საწერ მაგიდასთან. აი უკანასკნელი წუთები ვარსკვლავეთის ქალაქში, შემდეგ კი სტარტი...

პირველმა მაყურებლებმა — საკდესის ჟურნალისტებმა — გულთბილი მადლობა გადაუხადეს „ვარსკვლავეთის ძმებზე" ფილმის შემქმნელ გადამღებ კოლექტივს.

# საერთაშორისო ცხოვრება

## „ინტერკოსმოსი" — ორბიტაზე

ვარშავა, 15 ოქტომბერი. (საკდესი). თანამგზავრ „ინტერკოსმოს-1"-ის გაშვება შემდგომი ნაბიჯია კოსმოსურ კვლევაში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის წარმატებით განვითარების გზაზე, წერს პოლონეთის პრესის სააგენტოს სამეცნიერო კომენტატორი. შეთანხმების მიხედვით, რომელსაც ერთ წელზე მეტი ხნის წინათ მოაწერეს ხელი მოსკოვში, 288 პოლონელი მეცნიერი თავიანთ კოლეგებთან ერთად სხვა სოციალისტური ქვეყნებიდან მონაწილეობს კოსმოსურ კვლევაში დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრების დახმარებით. ექსპერიმენტების გეგმები ითვალისწინებენ, კერძოდ, დედამიწისირგვლივ ორბიტებზე გეოფიზიკური თანამგზავრების გაშვებას, აგრეთვე კვლევას იმ რაკეტების საშუალებით, რომლებზეც დადგმულია სოციალისტურ ქვეყნებში შექმნილი აპარატურა.

პრაღა, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის რადიოსადგურებმა და გაზეთებმა დღეს საბჭოთა კავშირიდან მიღებული ახალი საინტერესო ცნობები გაავრცელეს — დედამიწისირგვლივ ორბიტაზე გაშვებულია თანამგზავრი „ინტერკოსმოს-1", რომლის მომზადებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეცნიერები და სპეციალისტები.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერები სხვა სოციალისტური ქვეყნების სპეციალისტებთან ერთად ამუშავებენ საერთაშორისო თანამგზავრიდან მიღებულ მეცნიერულ ინფორმაციას, წერს „რუდე პრავო".

ბერლინი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთები თვალსაჩინო ადგილებზე ბეჭდავენ ინფორმაციებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში წარმატებით გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „ინტერკოსმოს-1". „ინტერკოსმოს-1"-ზე მოთავსებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სამეცნიერო აპარატურა, წერს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" — იგი გაშვებულია მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და ათვისების დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამის შესაბამისად".

ბუქარესტი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ყველა რუმინულმა გაზეთმა დიდი სათაურებით დაბეჭდა ცნობა საბჭოთა კავშირში დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „ინტერკოსმოს-1"-ის გაშვების შესახებ. „სკინტეია" ბეჭდავს ცნობას სათაურით: „სოციალისტური ქვეყნების ერთობლივი მეცნიერული ექსპერიმენტი".

გაზეთები აღნიშნავენ, რომ „ინტერკოსმოს-1"-ის ფრენას თვალყურს ადევნებენ ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის ობსერვატორიები.

ბუდაპეშტი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). „დიდი კოსმოსური კვირეულის" ახალ სენსაციას უწოდებს ბუდაპეშტის გაზეთი „ემტი ჰირლაპი" თანამგზავრ „ინტერკოსმოს-1"-ის გაშვებას. კოსმოდრომზე, წერს გაზეთი, გაშვების დროს სოციალისტური ქვეყნების ალმებს შორის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ალამიც ფრიალებდა.

სოფია, 15 ოქტომბერი. (საკდესი). მოსკოვიდან მიღებული კოსმოსურ სასწრაფო ცნობებს შორის ბულგარეთის გაზეთების ფურცლებსა და ბულგარეთის რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში საპატიო ადგილი დაიკავა ცნობამ კოსმოსში მომხდარი ახალი ამბის შესახებ. კომენტარებში აღნიშნულია, რომ თანამგზავრ „ინტერკოსმოს-1"-ის მიზანი — გამოიკვლიოს დედამიწის საჭიროებისათვის მზის გამოსხივების სხვადასხვა სპექტრი — შეესაბამება სამი „სოიუზის" ჯგუფური ფრენის მეცნიერულ შინაარსს.

## ცეცხლი არ ნელდება

● გაბედული შეტევები
● ექსტრემისტთა პროვოკაციები

კაირო, 15 ოქტომბერი. (საკდესი). პალესტინელმა პარტიზანებმა გააძლიერეს ისრაელ დამპყრობთა წინააღმდეგ შეტევები არაბეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

როგორც მენის სააგენტო იუწყება, 14 ოქტომბერს ღამით „ალ-ასიფის" (საბრძოლო რაზმები, [illegible]

□

[illegible] სი). ისრაელის მხედრიონი განაგრძობს პროვოკაციებს ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე სუეცის არხის გა- [illegible]

საზენიტო არტილერიამ ცეცხლი დაუშინა. ჰაერში აფრინდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები. წააწყდნენ რა ძლიერ წინააღმდეგობას, მოწინააღმდეგის თვითმფრინავები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. [illegible]

## კუბელი სტუმრები საქართველოში

[illegible] მოუკიდებლობა მოიპოვა.

საქართველოში ჩამოვიდნენ კუბის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს პირველი მდივანი მანუელ ლეფრან კრისტი, ჟურნალ „კუბის" წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში მანუელ პოსო და კუბის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს ატაშე მანუელ ტამაიო. 16 ოქტომბერს ისინი მიიღო საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინის- [illegible]

მანუელ ლეფრან კრისტმა მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისათვის და განაცხადა, რომ საქართველოს მაგალითი ცხადყოფს, თუ რა წარმატებების მოპოვება შეუძლია ხალხს, როცა იგი თავისი ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია.

კუბელი სტუმრები თბილისში ხამ დღეს დარჩებიან. (საქდესი).

## ფედერალური კრების სხდომები

პრაღა, 15 ოქტომბერი. (საკდესი). [illegible] ვადილი.

დღესვე გაიმართა ფედერალური კრების ეროვნებათა პალატის სხდომა. დეპუტატებმა დააკმაყოფილეს დ. განესის თხოვნა სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პალატის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ. ეროვნებათა პალატის თავმჯდომარედ არჩეულია ვოიტეხ მიხალიკი, სლოვაკიის კომპარტიის წევრი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თვალსაჩინო სლოვაკი მწერალი. ფედერალური კრების პრეზიდიუმის წევრთა მოვალეობებისაგან განთავისუფლებული არიან ი. შპაჩეკი, ფ. ბლაჰა და ვ. ჰატალა. მათ ნაცვლად პრეზიდიუმის წევრებად ეროვნებათა პალატისაგან არჩეული არიან ფ. ჩერვენკა, ბ. უნგრადი და ჯ. მიხალიკი.

## მხოლოდ ფაქტები

### სომალის პრეზიდენტი მოკლეს

[illegible]

### ფართო ინიციატივა

[illegible] კოტბუსისა და როსტოკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები.

### ხალხის მხარდაჭერა

სანტიაგო, 16 ოქტომბერი. (საკდესი). მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს ჩილეს კომპარტიის ფონდში სახსრების შეგროვების კამპანია. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მონაცემებით, კამპანია ყველაზე წარმატებით მიმდინარეობს ანტოფაგასტის, ოსორნოს, ბიო-ბიოს, იკიკეს, ტალკის პროვინციებში.

## ზამბია



ლუსაკაში, ზამბიის დედაქალაქში მდებარე ამ სეიფის მსგავს გიგანტურ შენობაში მოთავსებულია მონოპოლია „ანგლო-ამერიკენ კორპორეიშენის" გამგეობა. კაპიტალისტური სამყაროს „ალმასისა" და „ოქროს" მეფემ, სამხრეთაფრიკელმა მულტიმილიარდერმა გ. ოპენჰეიმერმა ამ შენობის აგება მხოლოდ ორი წლის წინათ დაამთავრა, და, როგორც ჩანს, დიდხანს აპირებდა აქედან ზამბიის ძარცვას.

მაგრამ მიმდინარე წლის აგვისტოში დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობამ ნაციონალიზაცია უყო „ანგლო ამერიკენ კორპორეიშენის" საბადოებს და ზამბიის წიაღისეულის კონტროლი თავის ხელში აიღო. ამიერიდან კოპერბელტს — ზამბიის ცნობილ „სპილენძის სარტყელს" განაგებს რესპუბლიკის მთავრობა.

საკდესის ფოტოქრონიკა.

---

...ციალისტური სისტემა, საერთაშორისო მუშათა კლასი, მთელი რევოლუციური ძალები".

**2**

თეორიულ დარგში ანტიკომუნიზმის მთავარი დანიშნულებაა კომუნისტური თეორიისა და პრაქტიკის დისკრედიტაცია და ისეთი სოციალური დოქტრინების შექმნა, რომლებიც დაუპირისპირდებოდა მარქსიზმს და დაასაბუთებდა ადამიანთა საზოგადოების განვითარების არაკომუნისტური გზის შესაძლებლობას.

ამ მიზანს ემსახურება, კერძოდ, უკანასკნელ წლებში გავრცელებული „კონვერგენციის" სხვადასხვა („ერთიანი სამყაროს", „ინდუსტრიული საზოგადოების" და სხვ.) თეორიები, რომლებიც ქადაგებენ კაპიტალიზმისა და კომუნიზმის განვითარებას შემხვედრი (კონვერგენტული) ხაზებით „ერთიანი სამყაროსაკენ".

ოცი-ოცდაათიოდე წლის წინათ კაპიტალისტურ ქვეყანაში „კონვერგენციის" ყოველი მქადაგებელი გაძევებული იქნებოდა. ახლა კი საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების დიდი მიღწევებისათვის ანგარიშის გაუწევლობა აღარ შეიძლება. დღეს იმპერიალიზმის იდეოლოგები ყოველნაირად ცდილობენ შეეგუონ კომუნიზმის წარმატებებს. ეს არის ჩვენი ეპოქის ნიშანი, როცა კომუნიზმი მსოფლიო განვითარების გადამწყვეტი ძალა ხდება.

მაგრამ ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ სხვადასხვა „თეორიები დაახლოებისა" მხოლოდ მოცლილის ჩმახვის ნაყოფი როდია. ისინი ემყარება სინამდვილის რეალური ფაქტების დამახინჯებას, რომლებიც დამახასიათებელია სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმისათვის.

თანამედროვე იმპერიალიზმს მთელი რიგი ახალი ნიშნები აქვს. იგი ფართოდ იყენებს მრეწველობის განვითარებისა და მეცნიერულ კვლევათა პროგრამების სახელმწიფო დაფინანსებას, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგებს, ადგენს ეკონომიური განვითარების პროგრამებს, სულ უფრო მეტად ნერგავს მეურნეობის მართვის რაციონალურ ფორმებს, რითაც ობიექტურად ამზადებს სოციალიზმის წინაპირობებს. თავის დროზე ვ. ი. ლენინმა იმპერიალიზმის ახალი ნიშნების ანალიზის დროს გააკეთა გაბედული დასკვნა იმის შესახებ, რომ „კაპიტალიზმის ზოგიერთმა ძირითადმა თვისებამ იწყო თავის წინააღმდეგობად გადაქცევა" (თხზ. სრ კრებ., ტ. 27, გვ. 385). მაგრამ, მეორე მხრივ, თანამედროვე იმპერიალიზმი უმაგალითოდ აძლიერებს მშრომელთა ექსპლოატაციას, ამწვავებს წინააღმდეგობას პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, ახდენს ეკონომიკის მილიტარიზაციას, იწვევს აგრესიულ ომებს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ, ქმნის ახალი მსოფლიო ომის მზარდ საშიშროებას. თუ არ დავინახავთ იმპერიალიზმის ამ დიალექტიკურად წინააღმდეგობრივ ბუნებას, ხოლო კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დროს თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის საფუძველშივე წინააღმდეგობრივი სოციალური შედეგების სიღრმისეულ ანალიზს შევცვლით გარეგნულად მსგავსი ნიშნების (მაგალითად, ახალი ტექნიკის გამოყენება) მხოლოდ ზერელე კონსტატაციით, ასეთი მიდგომის დროს შეიძლება წარმოიშვას ილუზია კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის „ძირეული მსგავსების" შესახებ, აგრეთვე იმის შესაძლებლობა, რომ ეს ილუზია გამოყენებულ იქნას რეაქციული კლასობრივი მიზნებით.

„მსგავსების" ილუზიას, რომელიც ემყარება სოციალიზმის წინაპირობების როგორც მზა სოციალიზმის განმარტებას, შეცდომაში შეჰყავს არა მარტო ობივატელები, არამედ ბევრი პატიოსანი მეცნიერიც საზღვარგარეთის ქვეყნებში. ამავე დროს თანამედროვე „ინდუსტრიული საზოგადოება", რომელსაც ასე აქებ-ადიდებენ „კონვერგენციის" იდეოლოგები, ნამდვილად აღმოჩნდება ხოლმე იგივე კაპიტალისტური საზოგადოება მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით — კერძო საკუთრების ბატონობით, ანტაგონისტური კლასების ბრძოლით და ექსპლოატაციით.

„კონვერგენციის" თეორია ერთგვარი მეცნიერულის მსგავსი საფუძველია ცალკეულ სოციალისტურ ქვეყნებთან ლაციცის ტაქტიკისათვის, „ხიდების აგებისათვის" და „თხრილების ამოვსებისათვის", რათა „წყნარი კონტრრევოლუციის" დახმარებით ეს ქვეყნები გამოგლიჯონ სოციალისტური თანამეგობრობიდან, მოახდინონ ამ ქვეყნებში კაპიტალიზმის რესტავრაცია და ძირი გამოუთხარონ მსოფლიო სოციალიზმის ძლიერებას. ანტიკომუნიზმის ცნობილი ამერიკელი იდეოლოგები ზ. ბჟეზინსკი და ს. ჰანტინგტონი გულახდილად აღიარებენ: „ეგრეთწოდებული კონვერგენციის თეორიების უმრავლესობა სინამდვილეში პოსტულატად იღებს არა კონვერგენციას, არამედ საწინააღმდეგო სისტემის შთანთქმას".

დღეს განსაკუთრებით აქტუალურად გაისმის ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ აუცილებელია აქტიური ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რა ახალ მორთულობასაც უნდა იცვამდეს იგი, „...საკითხი მხოლოდ ასე დგას: ბურჟუაზიული თუ სოციალისტური იდეოლოგია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შუათანა რამ აქ არ არის (ვინაიდან კაცობრიობას არავითარი „მესამენაირი" იდეოლოგია არ გამოუმუშავებია, და საერთოდაც საზოგადოებაში, რომელსაც კლასობრივი წინააღმდეგობანი ღრღნის, არც შეიძლება არასოდეს გარეკლასობრივი ან ზეკლასობრივი იდეოლოგია არსებობდეს). ამიტომ სოციალისტური იდეოლოგიის ყოველგვარი დამცირება, მისგან ყოველგვარი ჩამოშორება ნიშნავს იმავე დროს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას" (ტ. 6, გვ. 39-40).

**3**

ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგების ეგრეთწოდებული „არგუმენტები", მიმართული კომუნისტური თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ, საპნის ბუშტებივით სკდებიან, როგორც კი სინამდვილეს, ფაქტებს გაეჯახებიან. რეალური ცხოვრება უკუაგდებს ხოლმე ანტიკომუნისტების მონაგონებს. მაგრამ მთელი თავისი ანტიმეცნიერულობის მიუხედავად თანამედროვე ანტიკომუნისტური კონცეფციები არსებითად მოითხოვენ პრინციპულ ანალიზსა და უნარიან უარყოფას.

თანამედროვე ანტიკომუნიზმის დასაბუთებული კრიტიკული ანალიზი და მხილება განუყრელად დაკავშირებულია თვით მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებასთან, მის განუწყვეტელ განვითარებასთან ცვალებადი კონკრეტული ვითარების დიალექტიკურ-მატერიალისტური კვლევის საფუძველზე. თეორიის შემოქმედებითი განვითარების ერთ-ერთი ფორმაა საერთაშორისო თეორიული კონფერენციების მოწყობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაში „კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგების შესახებ" აღნიშნულია, რომ თანამედროვეობის პრობლემების გაღრმავებული თეორიული განზოგადებისათვის სამეცნიერო მუშაობის ყოველმხრივი განვითარების მიზნით „დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო თეორიული კონფერენციებისა და სემინარების მოწყობის უფრო ფართოდ გამოყენებას პრაქტიკაში".

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიას ფართოდ აქვს შემოღებული პრაქტიკაში საერთაშორისო თეორიული კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მოწყობა მეცნიერების განვითარების აქტუალურ საკითხებზე. ამჟამად მიმდინარეობს მზადება საერთაშორისო კონფერენციისათვის მოსკოვში, რომელიც მიეძღვნება ლენინიზმის მზარდ როლს თანამედროვე ეპოქაში და ანტიკომუნიზმის კრიტიკას.

ამ კონფერენციას ურთიერთ შეთანხმებით აწყობენ სოციალისტური ქვეყნების მთელი რიგი მეცნიერებათა აკადემიები. იგი მოწოდებულია ხელი შეუწყოს ყველა ქვეყნის მარქსისტ-ლენინელების კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვას, ყველა პროგრესული ძალების განმტკიცებას მათს ბრძოლაში იმპერიალიზმის მთავარი იდეურ-პოლიტიკური იარაღის — ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ. მისი მონაწილენი ყოველმხრივ მეცნიერულად გააკრიტიკებენ თანამედროვე ანტიკომუნიზმს, მის ახალ თეორიულ კონცეფციებს ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობისა და კულტურის დარგში, რათა გამოააშკარაონ ანტიკომუნიზმის, როგორც ანტიმეცნიერების, როგორც სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის გზაზე მთავარი დაბრკოლების რეაქციული არსი. კონფერენცია მოწოდებულია თავისი წვლილი შეიტანოს თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის იმ ძირითადი მეთოდოლოგიური საკითხების განვითარებასა და კონკრეტიზაციაში, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა.

ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკის ლენინური მეთოდოლოგიური პრინციპების შემდგომ კონკრეტიზაციას ამჟამად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ლენინმა მთელი თავისი ცხოვრებით და რევოლუციონერისა და მოაზროვნის მოღვაწეობით გვიჩვენა მარქსისტული თეორიისაგან ყოველგვარი გადახვევისადმი შეურიგებლობის ნიმუში, კლასობრივ მოწინააღმდეგეებთან მაღალიდეური, მწვავე, თანმიმდევრული, ბოლომდე პრინციპული ბრძოლის ნიმუში. განუხრელად იცავდა რა ერთგულებას მარქსიზმის პრინციპებისადმი, უნარიანად, შემოქმედებითად უფარდებდა რა ამ პრინციპებს შეცვლილი ვითარების ანალიზს, მან რევოლუციური თეორია გაამდიდრა ახალი დასკვნებით, დიდი ძალის ახალი იდეებით.

„...მარქსისტები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მარქსის თეორიიდან უეჭველად სესხულობენ მხოლოდ ძვირფას ხერხებს, ურომლისოდაც შეუძლებელია საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვევა, და, მაშასადამე, ამ ურთიერთობათა შეფასების კრიტერიუმს ხედავენ სრულიადაც არა აბსტრაქტულ სქემებში და სხვა ამგვარ აბდაუბდაში, არამედ მის სისწორესა და სინამდვილესთან შესაბამისობაში" (ტ. 1, გვ. 197).

მარქსიზმ-ლენინიზმმა შეიძინა პოლიტიკური, იდეოლოგიური და თეორიული ბრძოლის უმდიდრესი გამოცდილება. ამ გამოცდილების ყოველმხრივ გათვალისწინება, მისი მეცნიერული გააზრება აუცილებელი პირობაა იმისა, რომ ქმედითი, ეფექტური იყოს ანტიკომუნიზმის იდეოლოგიის, მარქსიზმ-ლენინიზმის სხვადასხვა თანამედროვე ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული, მემარჯვენე და „მემარცხენე"-რევიზიონისტი მოწინააღმდეგეების იდეოლოგიის კრიტიკული ანალიზის შემდგომი სრულყოფა.

ბურჟუაზიული კონცეფციების მეცნიერული კრიტიკა გულისხმობს მათი კლასობრივი და პოლიტიკური მიმართულების, მათი სოციალური და გნოსეოლოგიური ფესვების გამოაშკარავებას, როგორც საბოლოო დასკვნების, ისე მოყვანილ საწყის მოსაზრებათა დასაბუთებულ მხილებას. მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმ ფაქტების ჩვენებას, რომლებიც ბურჟუაზიის იდეოლოგების სპეკულაციის ობიექტს წარმოადგენენ, არამედ იმ ფაქტების ჩვენებასაც, რომლებსაც ისინი არ შეიძლება ანგარიშს არ უწევდნენ. საჭიროა ანალიზი ამა თუ იმ კონცეფციისა მოძრაობაში, ცვლილებაში. ეს შესაძლებელს ხდის, ერთი მხრით, განვასხვავოთ მისი ტრადიციული ფორმები თანამედროვეებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, დიფერენცირებულად მივუდგეთ უწინარეს ყოვლისა მის მთავარ წარმომადგენელთა შეხედულებებს, მხედველობაში მივიღოთ მათი ურთიერთ კრიტიკა.

ანტიკომუნიზმის იდეოლოგთა წინააღმდეგ ჩვენს ბრძოლაში უნდა ვხედავდეთ განსხვავებას ანტიმარქსისტებსა და არამარქსისტებს შორის, აგრეთვე იმპერიალიზმის პროფესიული „იდეოლოგ-თეორეტიკოსების" შედარებით მცირე ჯგუფსა, ამ „სულიერი საზრდოს" მიმწოდებელ-დამტარებელთა უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფსა და მშრომელთა იმ მასებს შორის, რომლებიც მათ შეცდომაში შეჰყავთ. ამოცანა ის არის, რომ დავეხმაროთ პატიოსან ადამიანებს კაპიტალისტურ სამყაროში თავი დააღწიონ ანტიკომუნიზმის გამხრწნელ გავლენას. საჭიროა აგრეთვე ცხადვყოთ განსხვავება იმ კონცეფციის ნამდვილ არსსა, კრიტიკას რომ ვუწევთ, და იმ ფორმებს შორის, რომლებსაც იგი იღებს მასობრივ პროპაგანდაში, რომელსაც, როგორც წესი, სოციალური დემაგოგია ახასიათებს.

■ ■ ■

იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მისი რეაქციული იდეოლოგიისა და პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესები მოითხოვენ კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობას. ამ ბრძოლაში ფასდაუდებელ როლს ასრულებენ კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები. ეს დოკუმენტები თვალსაჩინო თეორიული წვლილია მარქსიზმის განვითარების ლენინურ ეტაპში, შეიცავენ თანამედროვე მსოფლიოს ყველა ნამდვილად რევოლუციურ ძალთა მოქმედების კონკრეტულ პროგრამას.

ა. რუმიანცევი,
აკადემიკოსი;
მ. მიტინი,
აკადემიკოსი;
ვ. მშვენიერაძე,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი.

„პრავდა", 18/X.

# კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა

რევოლუციამდელ რუსეთის [illegible] სახელმწიფო უნივერსიტეტის 150 წლისთავის სახელოვანი იუბილეს დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩვიდმეტათასიანი კოლექტივი მიესალმება მსოფლიოში სახელგანთქმული უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორებს, მასწავლებლებს, ასპირანტებს, სტუდენტებს და ყველა თანამშრომელს, მხურვალედ ულოცავს და უსურვებს ყოველივე საუკეთესოს.

ამ საზეიმო დღეს განსაკუთრებული სიყვარულისა და უდიდესი მადლიერების გრძნობით გვინდა აღვნიშნოთ, რომ პეტერბურგის — პეტროგრადის — ლენინგრადის უნივერსიტეტმა, ჩვენი ქვეყნის ამ უდიდესმა სამეცნიერო ცენტრმა, რომელშიც ახალგაზრდა ვლადიმერ ლენინი სწავლობდა, რომელმაც სამშობლოს და მთელ კაცობრიობას მისცა მსოფლიოში განთქმული მრავალი მოღვაწე და ბრწყინვალე მეცნიერული აღმოჩენებით გაამდიდრა სამამულო და მსოფლიო მეცნიერება, ამავე დროს განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული კულტურის განვითარებაში, თბილისის უნივერსიტეტის შექმნასა და აყვავებაში.

რევოლუციამდელ საქართველოში არცერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო, და ქართველი ახალგაზრდობა თავისი სულიერი წყურვილის მოსაკლავად უმთავრესად ნევის ნაპირებს ეტანებოდა.

გულითადად მივესალმებით და მადლობას ვუძღვნით რა ლენინგრადის უნივერსიტეტს, ვუსურვებთ მას შემდგომ ბრწყინვალე წარმატებებს სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობაში ჩვენი დიადი სამშობლოს სასახელოდ.

ულრმეს მადლობას ვგრძნობ ლენინგრადის უნივერსიტეტისადმი, რომელმაც აღმზარდა. ახლა კი უდიდეს სიხარულს განვიცდი იმის გამო, რომ საქართველოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუმრები არიან ძვირფასი მეგობრები ლენინგრადიდან თავიანთი უნივერსიტეტის 150 წლისთავთან დაკავშირებით. კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა!

**აპაკი შანიძე,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.



**სურათზე:** ლენინგრადის უნივერსიტეტის ხედი. მთავარი კორპუსები. მარცხნიდან — აღმოსავლეთმცოდნეობისა და ფილოლოგიის ფაკულტეტების კორპუსი, მომდევნო — რექტორატი და მინერალოგია - გეოლოგიისა და ბიოლოგიის ფაკულტეტების შენობები.

ფოტო გ. მანიასი.

## დღეს თბილისის უნივერსიტეტში

**თბილისის** სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში დღეს 17 საათზე შედგება ლენინგრადის ა. ჟდანოვის სახელობის ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომას შესავალი სიტყვით გახსნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ი. ვეკუა, მოხსენებას თემაზე — ლენინგრადის უნივერსიტეტის 150 წელი — წაიკითხავს პროფესორი ვ. შადური. მოგონებებით გამოვლენ ლენინგრადის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ქართველი მეცნიერები ნ. მუსხელიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ა. შანიძე, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჩიტაია და სხვ.

დამსწრენი მოისმენენ ლენინგრადის უნივერსიტეტის რექტორის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის კ. ი. კონდრატიევის გამოსვლას.

### ციფრების ენით

- **ლენინგრადის** უნივერსიტეტში ასწავლის 815 პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორი.
- **უნივერსიტეტში** ახალგაზრდებს ამზადებენ 45 სპეციალობასა და 200 სპეციალიზაციაში.
- **უნივერსიტეტის** 153 კათედრიდან ასზე მეტი შექმნილია საბჭოთა პერიოდში.
- **უნივერსიტეტის** სტუდენტთა რიცხვი 19.000 აღემატება.
- **ლენინგრადის** უნივერსიტეტს აქვს 14 ფაკულტეტი და 8 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

## ნეპალელი სტუმრები საქართველოში

[illegible] უნადჟაია, ეროვნული სპორტული საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი, ჰოკეის ასოციაციის მდივანი, ახალგაზრდობის ასპარეზობის მომწყობი ასოციაციის პრეზიდენტი რ. ბ. რაჯა, ნეპალის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ა. დ. ჯოში, ეროვნული სპორტული კომიტეტის მდივანი ჯ. ხე- [illegible] ორი დღეს დარჩება. დელეგაციის წევრები გაეცნობიან, თუ როგორ არის დაყენებული რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა, დაათვალიერებენ სპორტულ ნაგებობებს, იმოგზაურებენ თბილისის მიდამოებში, გაეცნობიან ღირსშესანიშნაობებს. (საქინფორმი).

## ქართველ სპორტსმენთა წარმატება

**ნალჩიკში** დამთავრდა სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა მეორე სრულიად საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადა. სპარტაკიადა, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, მოაწყო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალურმა საბჭომ.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის გუნდები. საქართველოდან სპარტაკიადაში მონაწილეობდა 44 სპორტსმენი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გამოვიდნენ წარმატებით და დაიკავეს პირველი გუნდური ადგილი მაგიდის ჩოგბურთში, აგრეთვე მეორე ადგილი ტყვიის სროლასა და ფრენბურთში.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა სპორტსმენების გუნდმა დაიკავა მესამე ადგილი. მას მხოლოდ მოსკოვისა და რუსეთის სფსრ გუნდებმა გაუსწრეს.

ფრენბურთში თავი გამოიჩინეს „თბილგასტრონომვაჭრობის" ეკონომისტმა რ. გონგაძემ და „თბილკვებვაჭრობის" (№ 2) საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტმა ი. მიხანაშვილმა, მაგიდის ჩოგბურთში კი თბილისის რესტორნებისა და კაფეების და „თბილმრეწვვაჭრობის" საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტებმა ე. კარპენკომ და ს. ორდოიანმა.

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკ სპორტსმენთა გუნდი დაჯილდოებულია ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს საპატიო თასით და დიპლომებით. (საქინფორმი).

## წიგნი ლენინგრადის უნივერსიტეტზე




**ჩვენი** ქვეყნის ერთ-ერთ უძველეს უმაღლეს სასწავლებელს — ლენინგრადის სახელოვან უნივერსიტეტს მიეძღვნა პროფესორ ვანო შადურის წიგნი „ლენინგრადის უნივერსიტეტი და ქართული კულტურის მოღვაწეები", რომელიც გამომცემლობა „მერანმა" რუსულ ენაზე გამოსცა.

წიგნის ავტორი — ლენინგრადის უნივერსიტეტის აღზრდილი — პროფესორი ვ. შადური მოგვითხრობს ლენინგრადის უნივერსიტეტის იმ დიდ როლზე, რომელიც მან შეასრულა ქართული მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა აღზრდაში. გვიამბობს იმათზე, რომლებმაც დაამთავრეს პეტერბურგის უნივერსიტეტი და შემდეგ ილვწოდნენ საქართველოში პირველი უმაღლესი სასწავლებლის — თბილისის უნივერსიტეტის დასაარსებლად.

ორ დიდ უმაღლეს სასწავლებელს — ლენინგრადის უნივერსიტეტს, რომელმაც მიმდინარე წელს 150 წლის იუბილე გადაიხადა და დღეს ჩვენი სტუმარია, და თბილისის უნივერსიტეტს, რომელმაც 50 წლის იუბილე გასულ წელს იზეიმა, აქვთ მჭიდრო მეგობრობისა და თანამშრომლობის დიდებული ისტორია, რაც გაშუქებულია ამ წიგნში. წიგნის რედაქტორია პროფესორი ს. ჯორბენაძე.



ქართული ხელოვნება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში



## გერმანელ მეგობრებთან

**როგორც** უკვე ვიუწყებოდით, 1-10 ნოემბერს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ეწყობა საქართველოს კულტურის დღეები. მეგობრობის ეს დღესასწაული ძირითადად გაიმართება ბერლინში, აგრეთვე სამხრეთ ოლქებში, რომელთა ცენტრებია ქალაქები დრეზდენი, კარლ-მარქს-შტადტი, გერა და ზული.

საქართველოს კულტურის დღეებში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი ხელოვნების ოსტატები. ისინი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებლებს გააცნობენ ქართულ თავისთავად ხელოვნებას, სიმღერებსა და ცეკვებს, კლასიკურ ნაწარმოებებს. საბჭოთა საქართველოს ხელოვნების წარმომადგენლები იქნებიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ა. ბალანჩივაძე და რესპუბლიკის სახალხო არტისტი ო. თაქთაქიშვილი. დრეზდენსა და იენში გაიმართება მათი საავტორო კონცერტები. შესრულდება ა. ბალანჩივაძის მესამე საფორტეპიანო კონცერტი და პირველი სიმფონია, ო. თაქთაქიშვილის ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე" და საფორტეპიანო კონცერტი.

შემოქმედებითს კოლექტივებს შორის, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრებიან, არიან საესტრადო ორკესტრი „რერო" (ხელმძღვანელი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. პევზნერი), საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (ხელმძღვანელი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. კავსაძე), საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით, საესტრადო ანსამბლი „ორერა", საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი გ. ბარნაბიშვილის, თ. ბათიაშვილის, კ. ვარდელის, ნ. ქვანიას შემადგენლობით, სახელმწიფო ტრიო მ. მდივნის, თ. გაბარაშვილის, ლ. ისაკაძის შემადგენლობით, საქართველოს კამერული ორკესტრი რესპუბლიკის სახალხო არტისტის მ. იაშვილისა და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის ი. პოლიტკოვსკის ხელმძღვანელობით.

საქართველოს ხალხურ სიმღერებს გააცნობს გერმანელ მსმენელებს ვოკალური ოქტეტი „გორდელა". კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ რუსთავის კულტურის სახლის მოცეკვავეები და მომღერლები, ქალთა ვოკალური ტრიო ი. გურგულიას, მ. სიხარულიძისა და გ. დარახველიძის შემადგენლობით, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის ვოკალური ჯგუფი, აჭარის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოცეკვავეები და სხვ.

ბერლინისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ქალაქების მცხოვრებთა წინაშე გამოვლენ თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მსახიობები — სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები მ. ამირანაშვილი, ნ. ანდღულაძე, ნ. ტულუში, ი. შუშანია, უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი ლ. ჭყონია, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ც. ტატიშვილი, რ. კაკაბაძე, სოლისტი მ. სოტკილავა, პიანისტები — საქართველოს დამსახურებული არტისტები თ. ამირეჯიბი და ა. ნიჟარაძე, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ე. ვირსალაძე, პიანისტი ჯ. ბალანჩივაძე, ვიოლონჩელისტი ე. ისაკაძე, ორგანისტი ე. მგალობლიშვილი, საბალეტო ტრიო.

**ყოველივე** საუკეთესოს, რაც ფუნჯისა და საჭრისის ქართველმა ოსტატებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნეს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებლები ნახავენ ქართული კულტურის დღეებში.

დრეზდენში, სადაც მსოფლიო ხელოვნების ცნობილი საგანძურია, იმუშავებს ორი გამოფენა, პირველში შევიდა დ. კაკაბაძის, თ. აბაკელიას, უ. ჯაფარიძის, ქ. მაღალაშვილის, ლ. გუდიაშვილის, ა. ქუთათელაძის, რ. სტურუას, კ. სანაძის, ნ. კანდელაკის, ვ. თოფურიძის, ვ. ამაშუკელისა და სხვათა ნაწარმოებები. მეორე გამოფენა ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედებას ეძღვნება.

თეატრალური მხატვრების პ. ოცხელის, ვ. სიდამონ-ერისთავის, ი. გამრეკელის, ს. ვირსალაძის, დ. ლაპიაშვილის, ი. სუმბათაშვილის, დ. თავაძისა და სხვათა ნაწარმოებებს გაეცნობიან ქალაქ ზულის მშრომელები. კარლ-მარქს-შტადტში მოეწყობა მხატვარ ე. ახვლედიანის ნამუშევართა გამოფენა.

ბერლინი მასპინძლობას გაუწევს ქართულ გამოყენებითს ხელოვნებას, ოქრომჭედლობას, ჩუქურთმას. აქ გაიხსნება აგრეთვე ქართული კერამიკისა და ბავშვთა შემოქმედების გამოფენები. (საქინფორმი).

## „ვისმუტის" დამარცხება

„დინამო" (თბილისი) — „ვისმუტი" (გდრ) 2:1 (0:1). თბილისი. 16 ოქტომბერი. „ლოკომოტივის" სტადიონი. მსაჯი — თ. ველიევი (ბაქო).

„დინამო" — ურუშაძე, პეტრიაშვილი, კანთელაძე, ჭელიძე, ცხოვრებოვი, კუტივაძე, ილიადი (მაჩაიძე), სიჭინავა, გავაშელი, ქარქაშაძე, ლ. ნოდია; „ვისმუტი" — ტილე, ვაიკერტი, კილერმანი, პოლი, შლიდელი, შპიცნერი, ბარჩი, შალერი, ჰოლშტაი, აინზიდელი, ებერლაინი (ზაიდელი).

მატჩს დიდი ფეხბურთის შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. თამაში ნაკლებად საინტერესო, ულიმღამო გამოდგა. წუნი ბევრად მეტი იყო, ვიდრე კარგად ჩანაფიქრი კომბინაციები.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. ეს მოხდა 30-ე წუთზე. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავური დარტყმით გაიტანა მცველმა პოლმა. მასპინძლებმა ჯერ წონასწორობის აღდგენა, შემდეგ კი დაწინაურება მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს. 65-ე წუთზე ლ. ნოდიამ, ხოლო თამაშის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე კუტივაძემ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი. დინამოელებმა გაიმარჯვეს 2:1.

კომუნისტი სპორტი — ქრონიკა

### უმაღლესი ლიგის პრეტენდენტები

**დასასრულს** უახლოვდება „ა" კლასის მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო ასპარეზობა. ტურნირებმა ქვეჯგუფებში უნდა გამოავლინონ უძლიერესთა კვარტეტი.

პირველ ქვეჯგუფში წინ არიან ორჯონიკიძის „სპარტაკისა" და ლენინგრადის „დინამოს" გუნდები, რომლებსაც 52-52 ქულა აქვთ. მეორე ქვეჯგუფიდან ხაბაროვსკის არმიის სასპორტო კლუბის გუნდს ფაქტიურად უზრუნველყოფილი აქვს ფინალში მონაწილეობა. მესამე ქვეჯგუფში 57 ქულით პირველობა უკვე გაინაღდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა". მეოთხე ქვეჯგუფში ლიდერმა — ვილნიუსის „ჟალგირისმა" უკანასკნელისწინა მატჩში დაამარცხა ტაშკენტის ოლქის „პოლიტოტდელის" გუნდი 4:0.

### მ. ბოგუსი ლიდერთა ჯგუფში

**დონის როსტოვში** სტარტი აიღო საკავშირო ჩემპიონატმა სპორტულ ტანვარჯიშში. ასპარეზობა პირად-გუნდურია. მონაწილეობენ უძლიერესი ოსტატები — მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები, პრიზიორები.

პირველობა ვაჟებმა გახსნეს. სავალდებულო ვარჯიში მიმდინარეობს მსოფლიოს ჩემპიონატის პროგრამით.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობა ხელთ იგდეს მოსკოველებმა. მომდევნო ორი ადგილი უკავიათ უკრაინისა და რსფსრ-ის ტანმოვარჯიშეებს. პირად ჩათვლაში დაწინაურდა მოსკოველი ს. დიომიდოვი, რომელსაც სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ 55,95 ქულა აქვს. წარმატებით იბრძვის აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშე მ. ბოგუსი. იგი 54,9 ქულით მეორე ადგილზეა. მესამე ადგილზეა მოსკოველი ლ. არკაევი — 54,55 ქულა.

### პირველი ყაიმი

**სან-ხუანში** გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. მსოფლიოს ჩემპიონს ბორის სპასკის სტარტზე ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ მეოთხე ტურში პაექრობა ჰქონდა იუგოსლავ გროსმაისტერ ბრუნო პარმასთან და პარტია ყაიმით დაამთავრა.

ოთხი ტურის შემდეგ 3,5 ქულით ლიდერობას ინარჩუნებს ბ. სპასკი. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს არტურ ბისჰაიერსა და ლუბომირ კავალეკს სამ-სამი ქულა აქვთ. გროსმაისტერ ბენტ ლარსენს (დანია) 2,5 ქულა აქვს.

## რატომ „გაიფიცნენ"?!

**ერთი** საჭადრაკო ტურნირი მეორეს მისდევს, მატჩი — მატჩს. ცნობილი „მატადორები" სპასკი და სმისლოვი, პეტროსიანი და პოლუგაევსკი, პორტიში და რეშევსკი კვლავ ბრწყინავენ 64-უჯრიან ასპარეზზე. უკანასკნელ ხანებამდე არსად ჩანდა მხოლოდ ორი განთქმული უცხოელი მოჭადრაკე: ფიშერი და ლარსენი.

ჩვენმა მკითხველმა, რასაკვირველია, შეამჩნია კიდეც ეს გარემოება. რ. ფიშერმა უკანასკნელად ითამაშა შარშან სექტემბერში ვინკოვცის (იუგოსლავია) უმნიშვნელო ტურნირში. საერთოდ კი 1968 წელს სულ ორ შეჯიბრებაში მონაწილეობდა (მანამდე ითამაშა ნათანიას ტრადიციულ ტურნირში). ასე რომ ფიშერი უკვე მთელი წლის მანძილზე(!) არსად გამოსულა. მას მიბაძა ლარსენმაც, რომელმაც დაისვენა აპრილიდან ოქტომბრამდე. რაშია საქმე?

ფიშერი კვლავინდებურად აცხადებს: „ჩემი თვიური შემოსავალი 2.000 დოლარი გახლავთ. გნებავთ თქვენთან ვითამაშო? სიამოვნებით. ჯერ ეს თანხა ამინაზღაურეთ". ასეთი ჰონორარის გადახდის მსურველი შარშან თითქმის არავინ აღმოჩნდა, წლეულს კი — არავინ. „პიატიგორსკის თასის"-გათამაშება, რომელიც დანიშნული იყო სანტა-მონიკაში (აშშ), გადაიდო. აქ კი განპირობებული იყო სპასკის, პეტროსიანის, ფიშერისა და ლარსენის მონაწილეობა. გაისისათვის ჰოლანდიაში დაგეგმილია ფიშერისა და ბოტვინიკის მატჩი (16 პარტია), მაგრამ, რა თქმა უნდა, არავინ იცის, რა მოხდება მანამდე.

პეტროსიან-სპასკის მატჩს ესწრებოდა ფიშერის მეცენატი, ხანდაზმული ოსტატი ტუროვერი. ეს იყო მეორე მილიონერი, რომელთანაც მე მომიხდა ლაპარაკი (პირველი გახლდათ ფიდეს პრეზიდენტი როგარდი). მილიონერმა განაცხადა, რომ ფიშერი მისგან გარკვეულ თანხას იღებს, მაგრამ თავი სრულიად დამოუკიდებლად უჭირავს. მან ახალგაზრდა გროსმაისტერს უწოდა „არაკომუნიკაბელური" — ადამიანი, რომლის „მართვა" ყოვლად შეუძლებელია. „ძნელია მას რაიმე ურჩიო. ამავე დროს სავსებით ცხადია, რომ ეს უდიდესი მოჭადრაკე დიდად აზარალებს საკუთარ თავს დიდი ჭირვეულობით".

მსოფლიოს ჩემპიონ სპასკის მოწმობით, ფიშერი ამ ბოლო წლებში ფრიად გულჩათხრობილი და რელიგიური გახდა. იგი მიემხრო ქრისტიან სექტანტებს, ე. წ. „მეშვიდე დღის ადვენტისტებს". ეს სექტა ფიშერს გარკვეულ რენტას უხდის. გროსმაისტერი ამბობს: „ამიერიდან აღარ გავმართავ ერთდროული თამაშის სეანსებს. ისინი ცუდად მოქმედებენ ჩემს შემოქმედებაზე".

მაშ ასე, ხდება უცნაური რამ. ფიშერი მთელ თავის დროს ჭადრაკს ანდომებს, მაგრამ არსად თამაშობს. მან დაწერა წიგნი „თამაში გასწავლით რობერტ ფიშერი", რომელიც დამწყებთათვის არის განკუთვნილი.

ძნელი სათქმელია, როდემდე გაგრძელდება ფიშერის ეს „გაფიცვა". ის კია, რომ თუ მან მონაწილეობა არ მიიღო იანვარში ამერიკის შეერთებული შტატების მორიგ ჩემპიონატში (მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი), მაშინ სამი წლით ავტომატურად გამოეთიშება მსოფლიოს ჩემპიონობისათვის ბრძოლას.

ჩვენ ვესაუბრეთ იუგოსლაველ ჟურნალისტს დიმიტრიე ბელიცას, რომელიც ფიშერის პირადი მეგობარია. საყურადღებოა, რომ იგი გროსმაისტერს ყველაფერში ამართლებს და ამტყუნებს ტურნირების ორგანიზატორებს.

ფიშერს მიბაძა ცნობილმა გროსმაისტერმა ბ. ლარსენმაც, რომლის „გაფიცვაც" კარგახანია გაგრძელდა და აი ლარსენი გამოჩნდა პუერტო-რიკოს დედაქალაქ სან-ხუანში, სადაც მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონის ბ. სპასკის მონაწილეობით. როგორც ვიცით, ძველი მეტოქეები უკვე შეხვდნენ ერთმანეთს ერთ-ერთ ტურში. რევანში არ შედგა — გაიმარჯვა სპასკიმ. ლარსენმა დიდი სახელი მოიხვეჭა 1967 წელს, როდესაც ზედიზედ გაიმარჯვა 5 (!) პირველხარისხოვან ტურნირში: ჰავანაში, ვინიპეგში, სუსსა, მაიორკასა და მონაკოში. ამ დროიდან ლარსენმა განაცხადა: „მე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვითამაშებ, თუ მომცემენ პირველი პრიზის ნახევარს". რა თქმა უნდა, შეიძლება ლარსენი ამ პირველ პრიზსაც დაეუფლოს, ისე რომ დანიელი გროსმაისტერის მონაწილეობა თვითეულ ტურნირში ძვირი ჯდება.

არავინ იცის, რით დამთავრდება ლარსენისა და ტურნირების ორგანიზატორთა დავა. ის კია, რომ დანიელ გროსმაისტერს ფიშერთან შედარებით ერთი უპირატესობა აქვს — მას ტალის დამარცხების შემდეგ აღარ სჭირდება ზონალურ შეჯიბრებაში გამოსვლა — საზონათაშორისო ტურნირში პერსონალურად არის დაშვებული.

**გ. გამრეკელი.**

### ტაშკენტის კორტებზე

**დღეს** ტაშკენტში სტარტს აიღებს ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური პირველობა ჩოგბურთში. სტარტზე გამოვა სამასამდე სპორტსმენი, რომლებიც გაერთიანებულია მოკავშირე რესპუბლიკებისა და მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებ გუნდებში.

პირველი ექვსი დღე დათმობილი ექნება გუნდურ ასპარეზობას, სადაც გათამაშდება ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციის პრიზი. ყოველი გუნდის შემადგენლობაშია 15 სპორტსმენი. საპრიზო ადგილებს მოიპოვებენ ის კოლექტივები, რომლებსაც ერთეულთა და წყვილთა 28 შეხვედრიდან მეტი მოგება ექნებათ.

ყველაზე თანაბარი და ძლიერი შემადგენლობა ჰყავს მოსკოვის ნაკრებს. მისი მთავარი მეტოქეები არიან ესტონეთის, საქართველოს, უკრაინისა და რსფსრ-ის გუნდები.

წინასწარ ძნელია იმის განსაზღვრა, ვინ იქნება უძლიერესი პირად ასპარეზობაში. ეს ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ფორმაშია გამოჯანსაღების შემდეგ ა. მეტრეველი, შეძლებს თუ არა თავის ტიტულის შენარჩუნებას თ. ლეიუსი. წარმატების შანსები აქვთ ვ. კოროტკოვს, ს. ლიხაჩოვს, ა. ვოლკოვს, ვ. ეგოროვს, თ. კაკულიას. ქალთა შორის ფავორიტად თვლიან ო. მოროზოვას.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### რადიო

18 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — რ. გაბიჩვაძე. ნაწყვეტები ოპერა „ნანადან", 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.30 — მსუბუქი მუსიკა, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.05 — მღერის მახარაძის რაიონის ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა", 11.45 — ს. პროკოფიევი. ვოკალური ზღაპარი „საძაგელი იხვის ჭუკი", 12.00 — ციკლიდან „დიადი ცხოვრების წლები" — 1913 წელი (მოსკოვი), 12.10 — ა. ავერკინი, სიმღერები, 12.30 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 12.45 — ზუპე. ნაწყვეტები ოპერა „დონია ჟუანიტადან", 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ა. ბალანჩივაძე. მესამე საფორტეპიანო კონცერტი, 14.00 — რადიოჟურნალი „შორეულ საზღვარზე" (მოსკოვი), 14.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 14.55 — ჭ. ბილი. „შემდეგი მატარებელი ერთ საათში გავა". რადიოდადგმა, 16.15 — ციკლიდან „მოგონებები, სტატიები, წერილები". კომპოზიცია „რ. გლიერი", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. კონცერტი-საუბარი. „ზ. ფალიაშვილი", 18.10 — დ. თორაძე. ო. გორდელი. მუსიკა კინოფილმებიდან, 18.45 — გლინკა. საორკესტრო პიესები, 19.00 — სატირულ-იუმორისტული რადიოჟურნალი „შოლტი", 19.30 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — მსუბუქი მუსიკა, 20.30 — ახალგაზრდობისათვის. ციკლიდან „სასიქადულო მამულიშვილები" — ილია აბულაძე, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან". კითხულობენ თ. ჭავჭავაძე და ე. მანჯგალაძე, 22.00 — კონცერტი ი. ხეიფეცის, ლ. მარშალისა და ა. რუბინშტეინის მონაწილეობით, 22.50 — ო. თევდორაძე. სიმღერები, 23.30 — საესტრადო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### თეატრები

17 ოქტომბერი

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — რუსლან და ლიუდმილა (I აბონ. მე-4 წარმოდგენა); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ხანუმა; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ყარამან ყანთელაძე; **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მღერის ჟაკლინ დულაკი (საფრანგეთი); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — წითელქუდა (№ 45 აბონ. დილის 10 ს.), როცა მთავრდება ბავშვობა (№ 23 აბონ. საღ. 5 ს. და 30 წ.); **თოჯინების ქართული** — გულივერი ლილიპუტების ქვეყანაში (11, 1 და 3 ს.).

### ტელევიზია

17 ოქტომბერი

11.00 — ახალი ამბები — გადაცემა მოსკოვიდან, 11.15 — „მოსკოვის სამგზის ორდენოსანი" — სატელევიზიო მიმოხილვა, მიძღვნილი მოსკოვის ოლქისადმი — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი ფილმი „თოჯინები დაიხმარნენ", 12.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „სიმაღლე", 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის „ხალხი უმღერის", უკრაინის სსრ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი პროგრამა (გადმოცემა კიევიდან), 18.15 — სატელევიზიო ალმანახი „გმირობა", 19.00 — საზეიმო სხდომის ტრანსლაცია, 20.30 — გადაცემა „ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში", 20.45 — გადაცემა ციკლიდან „მშობელთა ტელეუნივერსიტეტი", 21.05 — საინფორმაციო პროგრამა — „მოამბე", 21.40 — გადაცემა „გამოჩენილი კომპოზიტორები. იონა ტუსკია", 22.10 — გერმანული მხატვრული ფილმი — „პროფესორ ჰეგერის შეცდომა".

„ლოკომოტივის" სტადიონი

(ვაკე)

18 ოქტომბერი



ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის გუნდებს შორის II ჯგუფი

„ზარაფშანი (ნავოი) — „ლოკომოტივი" (თბილისი)

დასაწყისი 17 ს. და 30 წ.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, ხამდივნისა — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 98-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-48, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-56-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68443 უე 07671

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტ მბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.